შეთანხმებული პროექტი
კრედიტის ნომერი 4513 - GE
(ცვლილება)

ხელშეკრულება დაფინანსების ხელშეკრულების ცვლილების შესახებ

(სიღარიბის დაძლევის მხარდაჭერის მეოთხე ოპერაცია)

გაფორმებული

საქართველოსა

და

საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის

თარიღი ——, 2008

დაფინანსების ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება, დათარიღებული _____, 2008 წელს, ფორმდება საქართველოს ("სესხის მიმღები") და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის ("ასოციაცია").

ა) 2008 წლის 12 ივნისის დაფინანსების ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გაფორმდა საქართველოს ("სესხის მიმღები") და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას ("ასოციაცია") შორის, ასოციაცია დათანხმდა სესხის მიმღებს გამოუყოს კრედიტის თანხა ცამეტი მილიონ რვაასი ათას SDR-ის (ნასესხობის სპეციალური უფლება) ოდენობით დაფინანსების ხელშეკრულების შესავალ ნაწილში აღწერილი დაფინანსების პროგრამის თანახმად ("პროგრამა") (კრედიტი N 4403-GE)

ბ) მიმღებმა მოითხოვა, რომ ასოციაციამ უზრუნველყოს დამატებითი ფინანსური დახმარება პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, რათა დაეხმაროს სესხის მიმღებს დააკმაყოფილოს 2008 წლის აგვისტოს ბოლო დროინდელი მოვლენებით გამოწვეული დაფინანსების გაზრდილი მოთხოვნები, პროგრამის განხორციელების არსებული ტემპის შენარჩუნების, ეკონომიკაზე კრიზისის ზეგავლენის შემსუბუქების და ეკონომიკური დაღმავლობის რისკების გაზდის შემცირების მიზნით, დაფინანსების ხელშეკრულების თანახმად გამოყოფილი თანხის ოდენობის გაზრდით ოცდახუთი მილიონ ხუთასი ათასი ნასესხობის სპეციალური

უფლებების ოდენობის (25, 500, 000 SDR) ექვივალენტური თანხით, რათა იგი გაიცეს ერთჯერადი ტრანშის სახით წინამდებარე შეცვლილი ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე; და

გ) ასოციაცია თანახმაა, ყველაფერი ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე კიდევ გაუგრძელოს ასეთი სახის დახმარება სესხის მიმღებს წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესაბამისად.

ამდენად, მხარეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

I მუხლი

ცვლილებები დაფინანსების ხელშეკრულებაში

1.01. დაფინანსების ხელშეკრულების I მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.01. ზოგადი დებულებები (დაფინანსების ხელშეკრულების დანართში მოყვანილი განსაზღვრების შესაბამისად) მოცემული ხელშეკრულების და ამ შეცვლილი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ.

1.02. გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კონტექსტით სხვაგვარად იქნება გათვალისიწნებული, წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ზოგად დებულებებში და წინამდებარე

ხელშეკრულების დანართში მოცემული მნიშვნელობით არის გამოყენებული."

1.02. დაფინანსების ხელშეკრულების ნაწილი 2.01 შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

„2.01. ასოციაცია თანახმაა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად სესხის მიმღებს გამოუყოს თანხა, რომელიც ექვივალენტურია 39, 300, 000 SDR-ისა ('კრედიტი' ან 'დაფინანსება'), რომელიც მოიცავს: ა) თავდაპირველ კრედიტს რომელიც ექვივალენტურია ცამეტი მილიონ რვაასი ათასი ნასესხობის სპეციალური უფლებებისა (13, 800, 000 SDR-ის) შესაბამის თანხისა (საწყისი კრედიტი) და ბ) დამატებით კრედიტს ოცდახუთი მილიონ ხუთასი ათასი ნასესხობის სპეციალური უფლებების (25,500,000SDR-ის) შესაბამისი თანხის ოდენობით (დამატებითი კრედიტი)."

1.03. დაფინანსების ხელშეკრულების ნაწილი 2.06 შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

„2.06. კრედიტის ძირითადი თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს გადახდის განრიგის შესაბამისად, რომელიც მოცემულია წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულების დანართში."

1.04. დაფინანსების ხელშეკრულების პირველი განრიგის II ნაწილის ბ პარაგრაფი და ცხრილი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„ ბ. **დაფინანსების თანხების გამოყოფა.** 13, 800, 000 SDR-ის ოდენობის საწყისი კრედიტი უნდა გამოიყოს ერთჯერად ტრანშად. 25,500,000 SDR-ის ოდენობის დამატებითი კრედიტი გამოიყოს ერთჯერად ტრანშად წინამდებარე ცვლილებების შეთანხმების ძალაში შესვლიდანვე. ცხრილში მოცემულია დაფინანსების თანხების გამოყოფა:

თანხა	**თავდაპირველი კრედიტის რაოდენობა (გამოხატული SDR-ში)**	**დამხმარე კრედიტის რაოდენობა (გამოხატული SDR-ში)**
ერთჯერადი ტრანში	13, 800,000	25,500,000
საერთო რაოდენობა	13, 800,000	25,500,000

1.05. დაფინანსების ხელშეკრულების განრიგი 2 შეცვლილ იქნას ისე როგორც აღწერილია წინამდებარე შეცვლილი ხელშეკრულების დანართში.

1.06. პირველი ნაწილის განმარტებები რომლებიც მოცემულია დაფინანსების ხელშეკრულების დანართში შეიცვალა და მას

დაემატა ახალი ქვე-სექცია 9, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. „ცვლილებების შესახებ ხელშეკრულება" ნიშნავს ხელშეკრულებას, რომელსაც ცვლილებები შეაქვს დაფინანსების ხელშეკრულებაში ასოციაციასა და სესხის მიმღებს შორის, დათარიღებული 2008 წლის 12 ივნისით."

1.07. II ნაწილის მოდიფიკაცია ზოგადი პირობებისა დაფინანსების ხელშეკრულების დანართში შეიცვალა და მას დაემატა ახალი ქვე-სექცია 8, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ნაწილი 3.01 (ბ) შეიცვალა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„(ბ) ვალდებულების გადასახადი უნდა დაწესდეს დაფინანსების ხელშეკრულების თარიღიდან 60 დღის შემდეგ შესაბამის ვადებში, როდესაც სესხის მიმღები მიიღებს თანხებს საფინანსო ანგარიშიდან ან მოხდება მათი გაუქმება, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ვალდებულების გადასახადი დამატებით კრედიტზე უნდა დაირიცხოს ცვლილებების ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-60 დღეს. ვალდებულების გადასახადი უნდა დაანგარიშდეს დარიცხვის დღის დადგომამდე პირველივე 30 ივნისს დაფიქსირებული განაკვეთით, ასევე ისეთი სხვა განაკვეთით, რომელიც დროდადრო დაწესდება წინამდებარე ნაწილის თანახმად.

ყოველ წელიწადს 30 ივნისს დაწესებული განაკვეთი ამოქმედდება შემდგომი გადახდის თარიღიდან იმ წელიწადს. ვალდებულების გადასახადი უნდა გადახდილ იქნას ნახევარ წლიურად, ვადაგადაცილებით ყოველ შემდგომ გადახდის დღეს. გადასახადი დაანგარიშდება წელიწადში 360 დღისა და თორმეტი 30 დღიანი თვის გათვალისწინებით".

1.08. დაფინანსების ხელშეკრულების ყველა სხვა დებულება კვლავ ძალაში რჩება.

II მუხლი – ხელშეკრულების ძალაში შესვლა; შეწყვეტა

2.01. წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულება ვერ შევა ძალაში მანამ, სანამ ასოციაციისათვის დამაკმაყოფილებელი მტკიცებულება არ გადაეცემა ასოციაციას იმის თაობაზე, რომ წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულების შესრულება მიმღების მიერ შესაბამისად იქნა რატიფიცირებული ყველა აუცილებელი სამთავრობო დონის ქმედებით.

2.02. წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულების 2.01 ნაწილის თანახმად მისაწოდებელი მტკიცებულების მიზნებიდან გამომდინარე, ასოციაციას უნდა მიეწოდოს მისთვის დამაკმაყოფილებელი მოსაზრება ან მოსაზრებები, რომლებიც მიმღების სახელით გვიჩვენებენ, რომ წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულება

შესაბამისად დამტკიცდა ან რატიფიცირებულ იქნა მიმღების მიერ ან შესრულებული მიმღების სახელით და იურიდიულად დაკავშირებულია მიმღებთან მისი პირობებიდან გამომდინარე.

2.03. წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულება უნდა შევიდეს ძალაში იმ დღეს, როდესაც ასოციაცია გადაუგზავნის მიმღებს შეტყობინებას იმ მტკიცებულების მიღების შესახებ, რომელიც საჭიროა წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულების ნაწილი 2.01-ის თანახმად.

2.04. თუ წინამდებარე ხელშეკრულება არ შევა ძალაში 90 (ოთხმოცდაათი) დღის შემდეგ მისი ხელმოწერიდან, წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულება და მხარეთა ყველა ვალდებულება შეწყდება, თუ ასოციაცია არ დააწესებს ახალ მოგვიანებით ვადას წინამდებარე ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე. თუ წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულება შეწყდება ამ ნაწილის დებულებების თანახმად, დაფინანსების ხელშეკრულება გაგრძელდება სრული ძალით და პირობებით თითქოსდა წინამდებარე ცვლილებების ხელშეკრულება არც კი შესრულებულა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა, რომლებიც მოქმედებენ მათ მიერ შესაბამისად დანიშნული წარმომადგენლის მეშვეობით, უზრუნველყოფა მოახდინეს იმისა, რომ

წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ხელი მოეწერათ მათი შესაბამისი სახელების მითითებით, თბილისში, საქართველოში, ზემოთ მოცემულ თარიღთან შესაბამისად.

საქართველო

_____ უფლებამოსილი წარმომადგენელი

საერთაშორისო განვითარების ასოციაცია

_____ უფლებამოსილი წარმომადგენელი

დანართი

განრიგი 2

ა) საწყისი კრედიტის დაფარვის გრაფიკი

კრედიტის დაფარვის თარიღი	დასაფარი კრედიტის ძირითადი თანხა (გამოხატული პროცენტებით) *
ყოველ 15 თებერვალს და 15 აგვისტოს:	
დაიწყება 15 აგვისტოს, 2018 წლისა და გაგრძელდება 2028 წლის 15 თებრვლის ჩათვლით;	5 %

ბ) დამატებითი კრედიტის დაფარვის გრაფიკი

კრედიტის დაფარვის თარიღი	დასაფარი კრედიტის ძირითადი თანხა (გამოხატული პროცენტებით) *
ყოველ 15 თებერვალს და 15 აგვისტოს:	
დაიწყება ———— წელს და გაგრძელდება ———— ჩათვლით;	5 %

---

* პროცენტით გამოხატულია კრედიტის ძირითადი თანხის დასაფარი მოცულობები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასოციაცია სხვაგვარად განსაზღვრავს ზოგადი პირობების 3.03 (ბ) ნაწილის შესაბამისად.